2022

ევროკავშირი
საქართველოსთვის

CPR PROJECT
Care Prevention Rights

თემის მზაობის შეფასება
ახალგაზრდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების შესამცირებლად

ადგილობრივი თემის მზაობის შეფასების სახელმძღვანელო

მომზადებულია
საზოგადოებრივ
გაერთიანება „ბემონში“

პროექტი „ზრუნვა, პრევენცია, უფლებები“ (პროექტი CPR)
#ENI/2021/429-043

თემის მზაობის შეფასება

ახალგაზრდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების შესამცირებლად

ადგილობრივი თემის მზაობის შეფასების სახელმძღვანელო

მომზადებულია

საზოგადოებრივ გაერთიანება „ბემონში“

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

თბილისი, 2022

შინაარსი

1. წინათქმა

2. თემის მზაობის მოდელი

2.1. რა არის თემის მზაობა?
2.2. რა არის თემის მზაობის მოდელი?

3. თეორიული საფუძვლები

3.1. როდის ვართ მზად საკუთარი ქცევის შესაცვლელად?
3.2. როდის არის მზად თემი ცვლილებებისთვის?

4. თემის მზაობის სტადიები და განზომილებები

4.1. თემის მზაობის სტადიები
4.2. თემის მზაობის განზომილებები

5. როგორ ტარდება თემის მზაობის შეფასება

ნაბიჯი 1. მკაფიოდ განსაზღვრეთ პრობლემა, რომელსაც შეისწავლით
ნაბიჯი 2. მკაფიოდ განსაზღვრეთ და გამოკვეთეთ თქვენი სამიზნე თემი
ნაბიჯი 3. მოამზადეთ ინტერვიუს სახელმძღვანელო კითხვარი
ნაბიჯი 4. შეარჩიეთ თქვენი რესპონდენტები (საკვანძო ინფორმატორები)
ნაბიჯი 5. ჩაატარეთ ინტერვიუები
ნაბიჯი 6. გააანალიზეთ და შეაფასეთ მიღებული შედეგები
ნაბიჯი 7. გამოთვალეთ საშუალო ქულები განზომილებების მიხედვით

6. დანართები

6.1. ადგილობრივი თემის მზაობის შეფასების ინსტრუმენტი
6.2. ფიქსირებული შეფასების სკალები თითოეული განზომილებისთვის
6.3. თემის მზაობის შეფასების ფურცელი
6.4. გამოყენებული ლიტერატურა

1. წინათქმა

„ადგილობრივი თემები ყოველთვის მზად არიან რაღაცისთვის! მთავარი ის კი არ არის, მზად არიან თუ არა, არამედ ის, თუ რისთვის არიან მზად...“
სათემო და ორგანიზაციული მზაობის ეროვნული ცენტრი;
კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ცნობილი გახდა, რომ მაქსიმალური წარმატების მისაღწევად ადგილობრივ თემზე ორიენტირებული პრევენცია უნდა იყენებდეს სისტემურ მიდგომას და მოიცავდეს მრავალგვარ მეთოდს. საუკეთესო შემთხვევაში, პრევენცია აქცენტს უნდა აკეთებდეს ადგილობრივ თემში არსებული უწყებების, ორგანიზაციების, ცალკეული ჯგუფების თანამშრომლობაზე და ზოგადად იყოს თემის საზოგადოების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უფრო ფართო ხედვის ნაწილი. როგორ უნდა მიაღწიოს ადგილობრივმა თემმა ძალისხმევისა და პროგრამების ასეთ შერწყმას? პრევენციული პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში, თემის წარმომადგენელთა ღრმად ჩართულობით. ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევა, სავარაუდოდ, ყველაზე დიდ და მდგრად ზეგავლენას მოახდენს თემში არსებული პრობლემების გადაჭრაზე.

იმის მიუხედავად, დიდი იქნება თუ პატარა, არც ერთი ადგილობრივი თემისთვის, ქალაქად თუ სოფლად, არ არის ადვილი პრევენციული პროგრამის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება. ამის მიზეზი მრავალია. სხვადასხვა თემში განსხვავებული განწყობებია; ერთ ადგილას გარკვეული ქცევა შეიძლება აღიარებული იყოს პრობლემად, მაშინ, როცა სხვა თემში ეს ქცევა სრულიად მისაღებია. ასევე, განსხვავებულია თემში არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსები. პოლიტიკური ატმოსფეროც განსხვავებულია და, თანაც, მუდმივად იცვლება. მაშინაც კი, როდესაც პრევენციული პროგრამები ამოქმედდება, ძალიან ხშირად ისინი წარუმატებლობას განიცდიან შედარებით მოკლე პერიოდის შემდეგ. ეს ხდება იმიტომ, რომ პროგრამა თავიდანვე არ იყო სწორად დაგეგმილი, არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი თავისებურებები და არ იყო შეფასებული, რამდენად მზადაა მოცემული თემი ცვლილებებისთვის.

წინამდებარე დოკუმენტი მარტივად გამოსაყენებელი სახელმძღვანელოა, რომელიც განკუთვნილია ახალგაზრდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების პრევენციის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა და ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის. დოკუმენტში მოცემულია თემის მზაობის შეფასების მოდელის თეორიული საფუძვლები და მისი პრაქტიკაში გამოყენების ინსტრუმენტები.

სახელმძღვანელოს გამოყენებით, პრევენციის სპეციალისტები შეძლებენ ცვლილებების წამოწყებას ადგილობრივ თემებში, ეფექტური, ადგილობრივ სპეციფიკასა და კულტურულ თავისებურებებზე დაფუძნებული პრევენციული სტრატეგიების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს თემის გაჯანსაღებას ახალგაზრდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების, დანაშაულებრივი, ძალადობრივი და სხვა ანტისოციალური ქცევების შემცი-

როგორ იზომება თემის მზადყოფნის დონე? და მას შემდეგ რაც დადგინდება ცალკეული თემის მზადყოფნის დონე, რა მეთოდები უნდა იქნას გამოყენებული პრევენციული პროგრამის ეფექტიანობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრევენციის კვლევის ცენტრმა (The Tri-Ethnic Center for Prevention Research at Colorado State University) შეიმუშავა თემის მზაობის თეორიული მოდელი. ეს მოდელი თავდაპირველად შეიქმნა ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების და ძალადობის პრევენციის პროგრამებში გამოსაყენებლად. ამჟამად ამ მოდელს ფართოდ იყენებენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვადასხვა სფეროში.

2. თემის მზაობის მოდელი

თემის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს მოსახლეობის ფართო ფენებთან. თემი შეიძლება იყოს პროფესიული ან რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ადამიანების ჯგუფი; მაგრამ, პრევენციული საქმიანობის კონტექსტში, ჩვენი ინტერესის საგანია **ადგილობრივი თემი -** საერთო გეოგრაფიული არეალისა და წეს-ჩვეულებების მქონე ადამიანთა ერთობა.

2.1 რა არის თემის მზაობა?

თემის მზაობა განსაზღვრავს, რამდენად არის საზოგადოება მზად, მიიღოს ზომები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ეს მზაობა შეიძლება მერყეობდეს ნულიდან (ადგილობრივ მოსახლეობას არც კი სმენია ამ საკითხის შესახებ) უკვე წარმატებული პროგრამების დანერგვამდე და შემდგომ წინსვლამდე.

თემის მზაობას გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლები გააჩნია:

→ ***თემის მზაობას განსაზღვრავს კონკრეტული პრობლემა.*** თემი შეიძლება მზად იყოს ერთი პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ საერთოდ არ იყოს მზად მეორე პრობლემის მოგვარებისთვის. ამ მზაობის გაზომვა შესაძლებელია სხვადასხვა ასპექტის (განზომილების) მიხედვით. თქვენ შეგიძლიათ არა მარტო ზუსტად შეაფასოთ ეს მზაობა, არამედ ისიც გაზომოთ, რა დონეზე იმყოფება თემი მზაობის სხვადასხვა ელემენტის მიხედვით (დეტალურად იხ. ქვემოთ).

→ ***თემის მზაობა ვარიირებს სხვადასხვა განზომილების მიხედვით.*** თემი შეიძლება მზად იყოს პრობლემის მოგვარების ერთი მეთოდისთვის, მაგრამ სრულიად არ იყოს მზად სხვა მეთოდის გამოსაყენებლად; შეიძლება კარგად იცოდეს პრობლემის შესახებ, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდეს, როგორ გადაჭრას ეს პრობლემა.

→ ***თემის მზაობა ვარიირებს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის მიხედვით.*** მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები, მაგ., ისინი, ვისაც უშუალოდ შეეხო პრობლემა, შეიძლება გაცილებით უფრო მზად იყვნენ პრობლემის გადასაჭრელად, ვიდრე სხვები. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არსებობს თემის მზაობის უფრო მაღალ საფეხურებზე გადასვლაში დახმარების გზები.

→ ***თემის მზაობის ხარისხის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია პრობლემის მოსაგვარებლად.*** თქვენი ძალისხმევა განწირულია, თუ ეცდებით, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს უბიძგოთ ისეთი რამისკენ, რისთვისაც ისინი მზად არ არიან. ხალხი მხარს დაუჭერს მხოლოდ იმას, რასაც გონივრულად, ლოგიკურად და შესაძლებლად მიიჩნევს. თემის მზაობის გაგება საშუალებას გაძლევთ, მოარგოთ ჩარევა ან სტრატეგია იმას, რისი მიღება და მხარდაჭერაც სურს საზოგადოებას.

2.2 რა არის თემის მზაობის მოდელი?

თემის მზაობის მოდელი (The Community Readiness Model, CRM) შეიქმნა კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრევენციის კვლევის ცენტრის (The Tri-Ethnic Center for Prevention Research at Colorado State University) მკვლევარების (Oetting et al., 2014) მიერ. ეს არის თემის ცვლილების მოდელი, რომელიც აერთიანებს ადგილობრივი თემის კულტურას, რესურსებს და მზადყოფნის დონეს, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს თემში არსებული პრობლემის მოგვარება. მოდელი განსაზღვრავს თემის მზაობის განზომილებებსა და დონეებს. მოდელი ასევე შეიცავს თემის მზაობის შეფასების ინსტრუმენტს.

თემის მზაობის მოდელი:

- → საშუალებას აძლევს თემს, განსაზღვროს პრობლემები და სტრატეგიები საკუთარი კონტექსტის გათვალისწინებით
- → ხელს უწყობს სისტემებსა და ცალკეულ ინდივიდებს შორის თანამშრომლობის დამყარებას
- → აძლიერებს თემის პოტენციალს, გადაჭრას ახალგაზრდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებული პრობლემები
- → მისი გამოყენება შესაძლებელია თემში არსებული სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად
- → შესაძლებელია მისი გამოყენება ნებისმიერ (გეოგრაფიული, თემატური, ორგანიზაციული) თემში

3. თეორიული საფუძვლები

3.1 როდის ვართ მზად საკუთარი ქცევის შესაცვლელად?

ქცევის შეცვლის ტრანსთეორიული მოდელი (Prochaska and DiClemente, 1992), რომელსაც **ცვლილებების სტადიების მოდელსაც** უწოდებენ, აფასებს ინდივიდის მზაობას, შეცვალოს საკუთარი ქცევა ახალი (როგორც წესი, უფრო ჯანსაღი) ქცევით და აანალიზებს იმ პროცესებსა და საფეხურებს, რომლებსაც გადიან ადამიანები ქცევაში ცვლილების მისაღწევად. თავდაპირველად მოცემული მოდელი ჩამოყალიბდა ისეთი ადიქტიური ჩვევებისგან გასათავისუფლებლად, როგორიცაა თამბაქოს, ალკოჰოლისა ნარკოტიკების მოხმარება, მაგრამ დღეს ის გამოიყენება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვა ქცევებთან მიმართებაშიც.

პიროვნული მზადყოფნა ცვლილებისთვის: ცვლილების სტადიების მოდელი

განზრახვის წინა საფეხური **-** მოცემულ საფეხურზე ადამიანს არანაირი განზრახვა ან სურვილი არ ამოძრავებს, შეცვალოს თავისი ქცევა. ინდივიდების უმეტესობა იმასაც ვერ აცნობიერებს, რომ მათ პრობლემა აქვთ, თუმცა ოჯახის წევრები ან ახლობლები შესაძლოა პრობლემის არსებობას ხედავდნენ.

განზრახვა **-** ამ საფეხურზე ადამიანები უკვე აცნობიერებენ პრობლემის არსებობას, მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან მზად პრობლემასთან გასამკლავებლად. ბევრი ინდივიდი განზრახვის საფეხურზე წლების მანძილზე იმყოფება.

მომზადება **-** ამ საფეხურზე ადამიანებს უკვე გადაწყვეტილი აქვთ ქცევის შეცვლა, მაგრამ ჯერ არ დაუწყიათ მოქმედება. მომზადების საფეხურზე შესაძლოა ადამიანმა ნაწილობრივ შეცვალოს ქცევა (მაგ. ნაკლებ სიგარეტს ეწეოდეს დღის მანძილზე) მაგრამ არა მთლიანად.

მოქმედება **-** ამ საფეხურზე ხდება უშუალოდ ქცევის შეცვლა პრობლემის გადასალახად. აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მავნე ქცევის შეწყვეტას, ცხოვრების სტილის ან გარემოს ცვლილებას.

შენარჩუნება **-** ამ საფეხურზე ადამიანები მუშაობენ მიღწეული ცვლილებების შესანარჩუნებლად და მავნე ქცევის განმეორების თავიდან ასაცილებლად. ჩვეულებრივ, თუ ადამიანი მავნე ქცევისაგან ექვსი ან მეტი თვის მანძილზეა თავისუფალი, ითვლება, რომ ის შენარჩუნების საფეხურზეა.

ქცევის შეცვლის მოდელი სპირალურია - ადამიანმა შეიძლება დაიწყოს მოქმედება, სცადოს შენარჩუნება, შეწყვიტოს, დაუბრუნდეს განზრახვის წინა საფეხურს, ისევ გაიაროს მოქმედებამდე მიმავალი საფეხურები და ასე შემდეგ, სანამ არ მოხდება პრობლემური ქცევის სრული შეწყვეტა.

მზაობის პიროვნულ სტადიებს აქვთ გარკვეული პარალელები თემის მზაობასთან, თუმცა არის პრობლემებიც. ძირითადი პრობლემა ის არის, რომ თემი არ არის ერთი ადამიანი, ეს არის ადამიანთა ჯგუფი. ჯგუფური პროცესებისა და პირობების მორგება ინდივიდუალური მზაობის ხუთ სტადიაზე ვერ ხერხდება. ინდივიდუალური მზადყოფნა ცვლილებებისთვის კონკრეტულ პრობლემასთან მიმართებაში არის ერთგანზომილებიანი, ხოლო თემის მზადყოფნა მრავალგანზომილებიანია. სხვადასხვა განზომილებაში თემი შეიძლება იყოს მზაობის განსხვავებულ საფეხურზე. მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, პროჩასკას ქცევის შეცვლის ტრანსთეორიულმა მოდელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თემის მზაობის მოდელის შექმნაში. მან აჩვენა მზაობის თეორიისა და მზაობის ეტაპების ზუსტად აღწერის აუცილებლობა.

3.2 როდის არის მზად თემი ცვლილებებისთვის?

ინდივიდის მსგავსად, ადგილობრივი თემებიც პრობლემის გადაჭრის მზაობის განსახვავებულ საფეხურებზე იმყოფებიან. ხშირად, თემის ძალისხმევა, განახორციელოს პროგრამები თემში ქცევის შესაცვლელად, გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება. ესენია:

- → თემში ენთუზიაზმის ნაკლებობა, რაც აფერხებს რესურსების მოძიებას ან თანამშრომლობის პროცესს
- → წინააღმდეგობა თემის წევრების და/ან ხელმძღვანელობის მხრიდან, რომლებიც შემდეგ ქმნიან დაბრკოლებებს
- → საზოგადოების და/ან ლიდერების მხრიდან ნაკლები აქტიურობა და მხარდაჭერა
- → მარცხი! რესურსები ამოიწურა, მოხალისეები გადაიქანცნენ, ახალი პროგრამა არაეფექტურია

თემის მზაობის მოდელი ეხმარება თემს წინსვლაში და ცვლილებების ეფექტურ განხორციელებაში. ეს მოდელი საშუალებას მოგცემთ: (1) შეაფასოთ თემის მზაობის დონე სხვადასხვა განზომილების მიხედვით, რაც დაგეხმარებათ, განსაზღვროთ, რითი დაიწყოთ ცვლილებების პროცესი; (2) გამოავლინოთ თემის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე წინაღობები; (3) შეარჩიოთ თემის მზაობის შესაბამის აქტივობები; (4) იმოქმედოთ თემის სოციო-კულტურული ჩარჩოების ფარგლებში, რათა თემს შესთავაზოთ ისეთი აქტივობები, რომელთა მიმართ იქნება მაღალი მიმღებლობა.

4. თემის მზაობის სტადიები და განზომილებები

4.1 თემის მზაობის სტადიები

თემის მზაობის მოდელი მზაობის 9 სტადიას განსაზღვრავს.

თითოეულ საკითხთან დაკავშირებული მზაობის დონე შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. მზაობის უფრო მაღალ დონეზე გადასასვლელად საჭირო დრო განსხვავებულია თავად საკითხის, თემის ძალისხმევის მიზანშეწონილობისა და გარე ფაქტორების (მაგ, მოვლენა, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო კონკრეტულ საკითხს) მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია თითოეული სტადიის მოკლე აღწერა:

<u>სტადია 1: ვითარების არცოდნა</u>

→ თემის წევრებმა **არ იციან** ამ პრობლემის გადაჭრაზე მიმართული ადგილობრივი ძალისხმევის შესახებ.
→ ხელმძღვანელობა ამ საკითხს **პრობლემად არ მიიჩნევს.**
→ საზოგადოებას მიაჩნია, რომ ეს **საკითხი არ არის შემაშფოთებელი.**
→ თემის წევრებს არ აქვთ **ინფორმაცია** ამ საკითხის შესახებ.
→ **არ არსებობს რესურსი** საკითხის მოსაგვარებლად.

"ახალგაზრდები სვამენ და თვრებიან."

<u>სტადია 2: უარყოფა/წინააღმდეგობა</u>

→ ხელმძღვანელობასა და თემის წევრებს მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი მათ **თემს არ აწუხებს** ან ფიქრობენ, რომ **არ შეუძლიათ ან არ უნდა მოგვარდეს.**

→ თემის წევრებს აქვთ **მცდარი წარმოდგენები ან არასწორი ინფორმაცია** საკითხთან დაკავშირებული მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

→ თემის **მხოლოდ რამდენიმე წევრს** აქვს ცოდნა ამ საკითხის შესახებ და შეიძლება იყოს ბევრი მცდარი წარმოდგენა თემის წევრებს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით.

→ თემის წევრები და/ან ლიდერები **არ უჭერენ მხარს** ამ საკითხის გადასაჭრელად არსებული რესურსების გამოყენებას.

"ჩვენ არ შეგვიძლია (ან არ უნდა) გავაკეთოთ რამე ამ საკითხთან დაკავშირებით!"

<u>სტადია 3: ბუნდოვანი ცოდნა</u>

→ **თემის რამდენიმე წევრს,** სულ მცირე, სმენია ადგილობრივი ძალისხმევის შესახებ, მაგრამ **ცოტა რამ იცის** მათ შესახებ.

→ ხელმძღვანელობასა და თემის წევრებს მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი **შესაძლოა იწვევდეს საზოგადოების შეშფოთებას.** ისინი არ ამჟღავნებენ მოქმედების უშუალო მოტივაციას.

→ თემის წევრებს აქვთ მხოლოდ **ბუნდოვანი ცოდნა** საკითხის შესახებ (მაგ. მათ აქვთ გარკვეული ინფორმაცია, რომ ეს საკითხი შეიძლება პრობლემური გახდეს და რატომ შეიძლება ეს მოხდეს).

→ იდენტიფიცირებულია **შეზღუდული რესურსები,** რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პრობლემის გადასაჭრელად შემდგომი ძალისხმევისთვის.

"ალბათ, რაღაც უნდა გაკეთდეს, მაგრამ რა? იქნებ, სხვამ იმუშაოს ამაზე?"

<u>სტადია 4: წინასწარი დაგეგმვა</u>

→ თემის **ზოგიერთ წევრს,** სულ მცირე, სმენია ადგილობრივი ძალისხმევის შესახებ, მაგრამ **ცოტა რამ იცის** მათ შესახებ.

→ ხელმძღვანელობა და თემის წევრები **აღიარებენ, რომ ეს საკითხი საზოგადოებას აწუხებს** და რომ რაღაც უნდა გაკეთდეს მის მოსაგვარებლად.

→ თემის წევრებს აქვთ **შეზღუდული ცოდნა** ამ საკითხთან დაკავშირებით.

→ არსებობს **შეზღუდული რესურსები,** რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პრობლემის გადასაჭრელად შემდგომი ძალისხმევისთვის.

"ეს მნიშვნელოვანია. რისი გაკეთება შეგვიძლია?"

<u>სტადია 5: მომზადება</u>

→ თემის წევრთა **უმეტესობას**, სულ მცირე, სმენია ადგილობრივი ძალისხმევის შესახებ.
→ ხელმძღვანელობა **აქტიურად უჭერს მხარს** მიმდინარე საქმიანობის გაგრძელებას ან გაუმჯობესებას ან ახალი საქმის წამოწყებას
→ საზოგადოებაში განწყობა არის **„ჩვენ შეშფოთებული ვართ ამით და გვინდა გავაკეთოთ რაღაც** ამასთან დაკავშირებით“.
→ თემის წევრებს აქვთ **ძირითადი ცოდნა** პრობლემის მიზეზების, შედეგების და სიმპტომების შესახებ.
→ იდენტიფიცირებულია **გარკვეული რესურსები,** რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პრობლემის გადასაჭრელად შემდგომი ძალისხმევისთვის; თემის წევრები ან ლიდერები აქტიურად მუშაობენ ამ რესურსების უზრუნველსაყოფად.

„სასწრაფოდ უნდა მოვიძიოთ ფინანსები."

<u>სტადია 6: წამოწყება (ინიცირება)</u>

→ საზოგადოების წევრთა **უმეტესობას** აქვს მინიმუმ საბაზისო ცოდნა ადგილობრივი ძალისხმევის შესახებ.
→ ხელმძღვანელობა **მნიშვნელოვან როლს ასრულებს** ახალი, შეცვლილი ან გაზრდილი საქმიანობის დაგეგმვაში, განვითარებასა და/ან განხორციელებაში.
→ თემის წევრების განწყობა არის **„ეს ჩვენი პასუხისმგებლობაა“** და თემის ზოგიერთი წევრი ჩართულია ამ საკითხის მოგვარებაში.
→ თემის წევრებს აქვთ **ძირითადი ცოდნა** საკითხის შესახებ და იციან, რომ პრობლემა ადგილობრივად ჩნდება.
→ **მოპოვებული და/ან გამოყოფილია** რესურსები ამ საკითხის გადასაჭრელად შემდგომი ძალისხმევის მხარდასაჭერად.

„ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა; ჩვენ ახლა ვიწყებთ რაღაცის გაკეთებას ამ საკითხის მოსაგვარებლად“.

<u>სტადია 7: სტაბილიზაცია</u>

→ თემის წევრთა **უმეტესობას** აქვს **საბაზისო ცოდნაზე მეტი ცოდნა** ადგილობრივი ძალისხმევის შესახებ, მათ შორის იციან კონკრეტული პროექტის დასახელება და მიზნები, სამიზნე აუდიტორია და სხვა კონკრეტული ინფორმაცია.
→ ხელმძღვანელობა **აქტიურად არის ჩართული** ამ საკითხის გადასაჭრელად **საქმიანობის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაში** ან გაუმჯობესებაში.
→ საზოგადოებაში დამოკიდებულებაა **„ჩვენ ავიღეთ** პასუხისმგებლობა“. მიმდინარეობს საზოგადოების ჩართვა საკითხის მოგვარებაში.
→ თემის წევრებს ამ საკითხის შესახებ **საბაზისოზე მეტი ცოდნა** აქვთ.
→ საქმიანობისთვის გამოყოფილი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი არის წყაროებიდან, რომლებიც, სავარაუდოდ, უზრუნველყოფენ **მუდმივ**

მხარდაჭერას.

"ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა"

<u>სტადია 8: გავრცობა/დადასტურება</u>

→ თემის წევრთა უმეტესობას აქვს **მნიშვნელოვანი ცოდნა** ადგილობრივი ძალისხმევის შესახებ, მათ შორის პროგრამის ეფექტურობის დონის შესახებ.
→ ხელმძღვანელობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს **საქმიანობის გაფართოებასა და გაუმჯობესებაში.**
→ საზოგადოების უმრავლესობა **მტკიცედ უჭერს მხარს** პროექტს ან პროექტის საჭიროებას. მონაწილეობის დონე მაღალია.
→ თემის წევრებს აქვთ **საბაზისოზე მეტი ცოდნა** საკითხის შესახებ და აქვთ მნიშვნელოვანი ცოდნა პრობლემის ადგილობრივი გავრცელებისა და ადგილობრივი შედეგების შესახებ.
→ მოსალოდნელია, რომ გამოყოფილი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი მომავალშიც უზრუნველყოფს მუდმივ მხარდაჭერას. თემის წევრები ეძებენ **დამატებით მხარდაჭერას** ახალი საქმიანობის განსახორციელებლად.

„რამდენად კარგად მუშაობს ჩვენი ამჟამინდელი პროგრამები და როგორ გავაუმჯობესოთ ისინი?“

<u>სტადია 9: საზოგადოების კუთვნილების მაღალი დონე</u>

→ თემის წევრთა **უმეტესობას** აქვს **მნიშვნელოვანი და დეტალური ცოდნა** ადგილობრივი ძალისხმევის შესახებ,
→ ხელმძღვანელობა **მუდმივად განიხილავს და აფასებს** საქმიანობის შედეგებს და შესაბამისად ცვლის ფინანსურ მხარდაჭერას.
→ საზოგადოების ძირითადი სეგმენტების **უმეტესობა** ძალიან მხარდამჭერი და აქტიურია.
→ თემის წევრებს აქვთ **დეტალური ცოდნა** საკითხის შესახებ და აქვთ მნიშვნელოვანი ცოდნა პრობლემის ადგილობრივი გავრცელებისა და ადგილობრივი შედეგების შესახებ.
→ უზრუნველყოფილია დივერსიფიცირებული რესურსები და სახსრები და მოსალოდნელია, რომ საქმიანობა გაგრძელდეს.

“ეს საქმე ჩვენი თემის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია.”

4.2 თემის მზაობის განზომილებები

მიაქციეთ ყურადღება, რომ ზემოთ, მზაობის სტადიების ეტაპების აღწერის დროს გამოყენებულ დებულებებში განიხილება თემის მზაობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორიცაა, მაგ., ხელმძღვანელობა და განწყობები თემში. თემის მზაობა შედგება ხუთი ასპექტის ან განზომილებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ, დაეხმარონ თემს თავისი მზაობის გაზრდაში. ეს განზომილებებია:

1. ***თემის ინფორმირებულობა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებული მიმდინარე ძალისხმევის შესახებ*** - რამდენად იცის ადგილობრივმა

საზოგადოებამ მიმდინარე პროგრამებისა და აქტივობების შესახებ?

2. **თემის ხელმძღვანელობა** - როგორია ხელმძღვანელობის დამოკიდებულება საკითხის მოგვარების მიმართ?

3. ***ატმოსფერო თემში*** - როგორია ადგილობრივი საზოგადოების დამოკიდებულება საკითხის მოგვარების მიმართ?

4. ***თემის ინფორმირებულობა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით*** - რამდენად იცის საზოგადოებამ ამ საკითხის შესახებ?

5. ***რესურსები*** - რა რესურსები გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნას პრობლემის მოსაგვარებლად?

შეფასების დროს, თითოეული განზომილება მიიღებს თემის მზაობის ქულას. ამრიგად, თითოეული განზომილება შეიძლება იყოს მზაობის სხვადასხვა დონეზე. მაგალითად, თემის ქულები შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

განზომილება	მზაობის დონე	მზაობის სტადია
ინფორმირებულობა ძალისხმევის შესახებ	3	ბუნდოვანი ცოდნა
თემის ხელმძღვანელობა	2	უარყოფა/წინააღმდეგობა
ატმოსფერო თემში	2	უარყოფა/წინააღმდეგობა
ინფორმირებულობა საკითხის შესახებ	3	ბუნდოვანი ცოდნა
რესურსები	4	წინასწარი დაგეგმვა

რას ნიშნავს ეს ქულები? შეფასების ნაწილში წარმოგიდგენთ სკალებს, რომლებსაც იყენებენ თითოეული განზომილების მზაობის დონის გასაზომად.

5. როგორ ტარდება თემის მზაობის შეფასება

ქვემოთ მოყვანილი ნაბიჯების გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ, რამდენად მზადაა ესა თუ ის თემი კონკრეტული საკითხის გადასაჭრელად. მზაობის სტადია ცალ-ცალკე გამოითვლება 5 განზომილებიდან თითოეულისთვის.

თემის მზაობის შესაფასებლად გადადგმული ნაბიჯები შემდეგია:

1. მკაფიოდ განსაზღვრეთ პრობლემა, რომელსაც შეისწავლით
2. მკაფიოდ განსაზღვრეთ და გამოკვეთეთ თქვენი სამიზნე თემი
3. მოამზადეთ ინტერვიუს სახელმძღვანელო კითხვარი
4. შეარჩიეთ თქვენი რესპონდენტები (საკვანძო ინფორმატორები)
5. ჩაატარეთ ინტერვიუები
6. გააანალიზეთ და შეაფასეთ მიღებული შედეგები
7. გამოთვალეთ საშუალო ქულები განზომილებების მიხედვით

ნაბიჯი 1. მკაფიოდ განსაზღვრეთ პრობლემა, რომელსაც შეისწავლით

თემის მზაობა დამოკიდებულია კონკრეტულ პრობლემაზე.

შესაბამისად, შეფასების ჩატარებამდე ძალიან მნიშვნელოვანია, მოვახდინოთ პრობლემის იდენტიფიცირება და მივცეთ ამ პრობლემას მკაფიო განმარტება.

განვიხილოთ საკითხები, რომლებიც ეხება ალკოჰოლის მოხმარებას:

→ არასრულწლოვანთა მიერ ალკოჰოლის მოხმარება
→ არასრულწლოვანთა მიერ ალკოჰოლის მოხმარება (12-დან 16 წლამდე)
→ არასრულწლოვანთა მიერ ალკოჰოლის მოხმარება (17-დან 18 წლამდე)
→ არასწრულწლოვანთა მიერ ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება
→ 21 წლის და უფროსი ასაკის ადამიანების მიერ ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება

თითოეული ამ საკითხის გადასაჭრელად თემის მზაობა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგალითად, თემი შეიძლება მზად იყოს, იზრუნოს არასრულწლოვანთა მიერ ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების პრობლემის მოგვარებაზე, მაგრამ, საზოგადოებრივი ნორმებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თემი შეიძლება არ იყოს მზად, მიმართოს ძალისხმევა ზრდასრული ადამიანების მიერ ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებაზე.

ასევე, როდესაც ვსაუბრობთ ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებაზე, საზოგადოებაში შეიძლება სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება იყოს სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერების, მაგ., თამბაქოს, ალკოჰოლის, მარიხუანას, ჰეროინის, ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარების მიმართ.

ჩვენი კვლევის მიზნებისთვის, ნარკოტიკი განიმარტება, როგორც ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნებისმიერი ნივთიერება და მცენარეული მასალა, რომელიც იწვევს მიჩვევას და დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და რომლის შექმნა, წარმოება, შენახვა, შეძენა, გასაღება, მოხმარება კანონით აკრძალულია.

ნაბიჯი 2. მკაფიოდ განსაზღვრეთ და გამოკვეთეთ თქვენი სამიზნე თემი

თემის მზაობა დამოკიდებულია კონკრეტული თემის მახასიათებლებზე

თემის განსაზღვრა მრავალგვარად შეიძლება. ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ცხოვრობენ ერთსა და იმავე ადგილას ან აქვთ საერთო მახასიათებელი/ები. თემის მაგალითებია:

→ გეოგრაფიული არეალი (მაგ., ქალაქი, სოფელი, უბანი, გარკვეული საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორია)
→ გეოგრაფიული არეალის ქვეჯგუფი (ეთნიკურობა, ასაკი და სხვ.)
→ პროფესიული ჯგუფი, როგორიცაა სამართალდამცავი ორგანოები, სამედიცინო თემი და სხვ
→ სისტემა, მაგ., საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ფსიქიკური ჯანმრთელობა
→ ორგანიზაცია ან ორგანიზაციის განყოფილება (მაგ., უნივერსიტეტი)

მოცემული კვლევისთვის ჩვენი ინტერესის საგანია **ადგილობრივი თემი -** საერთო გეოგრაფიული არეალისა და წეს-ჩვეულებების მქონე ადამიანთა ერთობა. **ადგილობრივი თემის** ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ სამიზნე რეგიონული ცენტრის (ქალაქის) მუნიციპალიტეტს, ხოლო **თემის წევრებში** - მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს.

ნაბიჯი 3. მოამზადეთ ინტერვიუს სახელმძღვანელო კითხვარი

თემის მზაობის შეფასების ინსტრუმენტი იხ. დანართში 6.1. ეს არის ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი.

კითხვარის შესავალში აუცილებლად ჩასვით თქვენი პრობლემური საკითხის და სამიზნე თემის მკაფიო განმარტება. კითხვარის მოდიფიცირების/ადაპტაციის დროს გაითვალისწინეთ შემდეგი:

→ კითხვარში მსხვილი შრიფტით (ბოლდით) წარმოდგენილი შეკითხვების დასმა აუცილებელია, რადგან ძირითადად ამ კითხვებზე პასუხების მიხედვით ხდება შეფასება. ესენი არ გამოტოვოთ

→ ჩვეულებრივი შრიფტით წარმოდგენილი კითხვების დასმა არაა აუცილებელი. ყველა არასავალდებულო კითხვას (ანუ იმათ, რომლებიც ბოლდით არ არის გამოყოფილი) ნუ გამოიყენებთ, რადგან ინტერვიუ შეიძლება ძალიან გაგრძელდეს. გადახედეთ ამ კითხვებს და ამოარჩიეთ თქვენი შეხედულების მიხედვით

→ კითხვები დალაგებულია განზომილებების მიხედვით. გამონაკლისია მხოლოდ პირველი კითხვა, რომელიც ეხება ატმოსფეროს თემში

→ თუ კიდევ გაინტერესებთ რაიმე ინფორმაციის შეგროვება, კითხვარის ბოლოს დაამატეთ დამატებითი კითხვები

ნაბიჯი 4. შეარჩიეთ თქვენი რესპონდენტები (საკვანძო ინფორმატორები)

თემის შესწავლის დროს ხშირად იყენებენ თემის წევრების რანდომული შერჩევის მეთოდს და რესპონდენტებს ეკითხებიან კონკრეტული სკითხისადმი მათი საკუთარი დამოკიდებულების შესახებ. თემის მზაობის მოდელი კი იყენებს საკვანძო ინფორმატორებს, რათა მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს ადგილობრივი საზოგადოება ამ საკითხს.

საკვანძო რესპონდენტების გამოკითხვა არის თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ, რა ხდება ადგილობრივ თემში. უნდა შეირჩეს ისეთი ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობენ თემს და ფლობენ ინფორმაციას პრობლემური საკითხის შესახებ.

საკვანძო რესპონდენტების შერჩევა უნდა მოხდეს სათემო საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტიდან, მაგალითად:

→ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები
→ სამართალდამცავები
→ ჯანდაცვის სფეროს მუშაკები
→ სოციალური სერვისის მიმწოდებლები
→ სკოლის პერსონალი
→ რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები
→ არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები
→ ახალგაზრდა აქტივისტები

რეკომენდებულია დაახლოებით 6-8 ინტერვიუს ჩატარება. ზოგჯერ, უფრო ფართე სურათის მისაღებად, საჭირო ხდება საკვანძო ინფორმატორების დამატება.

ნაბიჯი 5. ჩაატარეთ ინტერვიუები

რესპონდენტის გამოკითხვის დროს, გასათვალისწინებელია შემდეგი:

→ გამოკითხვა ჩაატარეთ ტელეფონით ან რომელიმე ონლიან პლატფორმის გამოყენებით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უმჯობესი იყოს ინტერვიუს პირისპირ ჩატარება.
→ სთხოვეთ რესპონდენტს, რომ მოგცეთ ინტერვიუს დიქტოფონზე ჩაწერის უფლება და აუხსენით, რისთვის გჭირდებათ ეს
→ ინტერვიუს სავარაუდო ხანგრძლივობაა 30-45 წთ
→ არ გაუგზავნოთ რესპონდენტს კითხვარი, რათა თვითონ შეავსოს

გამოკითხვის დასრულების შემდეგ, მიღებული ინფორმაციის გასაანალიზებლად მოამზადეთ ინტერვიუების დეტალური ტრანსკრიპტები.

ნაბიჯი 6. გააანალიზეთ და შეაფასეთ მიღებული შედეგები

ამ ეტაპზე, თითოეული ინტერვიუ ფასდება ქულებით, რათა განისაზღვროს მზაობის დონე ყოველი განზომილებისთვის. თითოეულ ინტერვიუს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აფასებს 2 პირი.

ქულების მინიჭების პროცესი:

→ აირჩიეთ 5 განსხვავებული ფერის მარკერი (ჰაილაითერი) და მეორე შემფასებელთან ერთად განსაზღვრეთ, რომელი ფერით აღნიშნავთ 5 განზომილებიდან თითოეულს., მაგ., ატმოსფეროს თემში შეესაბამება ყვითელი ფერი, ხოლო ხელმძღვანელობას - ვარდისფერი.

→ არსებობს შეფასების ხუთი სკალა, რომლებსაც გამოიყენებთ თითოეული განზომილებისთვის ქულების მინიჭების დროს. ეს სკალები შეგიძლიათ იხილოთ **დანართში 6.2**.

→ თითოეული განზომილების მიხედვით მიღებული ქულები უნდა შეიყვანოთ ქულათა შეფასების ფურცელში (იხ. **დანართი 6.3**)

→ სანამ ქულების მინიჭებაზე დაიწყებდეთ მუშაობას, მთლიანად გადაიკითხეთ ინტერვიუს ტრანსკრიპტი. ეს საშუალებას მოგცემთ, ზოგადი წარმოდგენა შეიქმნათ ინტერვიუს შესახებ.

→ დაიწყეთ პირველი განზომილებით (თემის ინფორმირებულობა ძალისხმევასთან დაკავშირებით) - ჯერ კარგად გაეცანით ამ განზომილების შესაბამის შეფასების სკალას; შემდეგ წაიკითხეთ მთელი ინტერვიუ და ამ განზომილებისთვის განკუთვნილი ჰაილაითერით მონიშნეთ ის კითხვები, რომლებიც ეხება ამ განზომილების ასპექტებს.

→ დაიწყეთ შეფასების სკალის (დანართი 6.2) პირველი დებულებით და ჰკითხეთ საკუთარ თავს, აღემატება თუ არა თემის მზაობის დონე ამ დებულებით განსაზღვრულ სიტუაციას. თუ კი, გადადით სკალის შემდეგ დებულებაზე. ასე განაგრძეთ მანამ, სანამ არ მიხვალთ იმ დებულებამდე (ეტაპამდე), რომლისთვისაც თემს ჯერ არ მიუღწევია. ეს ნიშნავს, რომ თემის მზაობის დონე ამ განზომილებისთვის შეესაბამება წინა ეტაპს და ენიჭება წინა ეტაპის შესაბამისი ქულა.

→ ეს ქულა ჩაწერეთ ქულათა შეფასების ფურცელში (ინდივიდუალური ქულები) პირველი განზომილების (თემის ინფორმირებულობა ძალისხმევასთან დაკავშირებით) გასწვრივ, პირველი ინტერვიუს შესაბამის გრაფაში.

→ არ არის აუცილებელი მთელი რიცხვების გამოყენება. თუ ფიქრობთ, რომ თემმა გადააჭარბა ერთ დებულებას, მაგრამ შემდეგი დებულება არ არის მთლად ჭეშმარიტი, მაშინ შეგიძლიათ ქულა მიანიჭოთ ორ დონეს შორის.

→ ამგვარად განაგრძეთ ყველა განზომილებასთან დაკავშირებით.

→ როდესაც დაასრულებთ ყველა ინტერვიუს შეფასებას, შეადარეთ თქვენი ქულები მეორე ინტერვიუერის ქულებს. სადაც ქულები ერთმანეთს არ ემთხვევა, იმსჯელეთ და კონსენსუსის გზით ჩამოყალიბდით შესაბამის ქულაზე. შეჯერებული ქულები შეიტანეთ შეფასების ფურცელში (კონსენსუსის ქულები).

ნაბიჯი 7. გამოთვალეთ საშუალო ქულები განზომილებების მიხედვით

აი, ასე გამოიყურება ინდივიდუალური ქულების ცხრილი:

	ინტერვიუს N						
	#1	#2	#3	#4	#5	#6	**საშუალო**
ცოდნა ძალისხმევის შესახებ	3	4.25	2	2.5	3	3.5	
ხელმძღვანელობა	3.5	3.5	4	3	2.5	4	
ატმოსფერო თემში	3.5	2.5	1.5	3.25	2	3	
საკითხის ცოდნა	2.5	2.5	3	2.5	3	2.25	
რესურსები	4	3.5	2.5	3	4	3.5	
თემის მზაობის ერთიანი ქულა							

თითოეული განზომილების საშუალო ქულის დასათვლელად, ინტერვიუების შეფასების შედეგად მიღებული ამ განზომილების შესაბამისი ქულათა ჯამი იყოფა ინტერვიუების რაოდენობაზე. მაგ.:

	ინტერვიუს N						
	#1	#2	#3	#4	#5	#6	**საშუალო**
ცოდნა ძალისხმევის შესახებ	3.0	4.25	2.0	2.5	3.0	3.5	**3.04**

ჩვენს მაგალითში, თემის მზაობის შეფასების საშუალო ქულები ასეთია:

	ინტერვიუს N						
	#1	#2	#3	#4	#5	#6	**საშუალო**
ცოდნა ძალისხმევის შესახებ	3	4.25	2	2.5	3	3.5	**3.04**
ხელმძღვანელობა	3.5	3.5	4	3	2.5	4	**3.42**
ატმოსფერო თემში	3.5	2.5	1.5	3.25	2	3	**2.63**

საკითხის ცოდნა	2.5	2.5	3	2.5	3	2.25	**2.63**
რესურსები	4	3.5	2.5	3	4	3.5	**3.42**
თემის მზაობის ერთიანი ქულა							**3.03**

<u>განზომილება</u>	**მზაობის დონე**	**მზაობის ეტაპი**
ცოდნა ძალისხმევის შესახებ	3.04	ბუნდოვანი ცოდნა
ხელმძღვანელობა	3.42	ბუნდოვანი ცოდნა
ატმოსფერო თემში	2.63	უარყოფა/ წინააღმდეგობა
საკითხის ცოდნა	2.63	უარყოფა/ წინააღმდეგობა
რესურსები	3.42	ბუნდოვანი ცოდნა
ერთიანი ქულა	**3.03**	**ბუნდოვანი ცოდნა**

თემის მზაობის ერთიანი ქულის გამოსაყვანად, ცალკეული განზომილებების ქულათა ჯამი იყოფა 5-ზე. ქულები დაამრგვალეთ ქვემოთ და არა ზემოთ - ქულა 1.0-დან 1.99-მდე იქნება პირველი ეტაპი, ქულა 2.0-დან 2.99-მდე იქნება მეორე და ა.შ. მაგ., თუ თუ ერთიანი ქულა არის 4.41, თემის მზაობა შეესაბამება მეოთხე ეტაპს - წინასწარი დაგეგმვა.

6. დანართები

6.1 ადგილობრივი თემის მზაობის შეფასების ინსტრუმენტი

სახელმძღვანელო კითხვარი საკვანძო ინფორმატორისთვის

შესავალი

მოგესალმებით. ჩემი სახელია ----------. მე წარმოვადგენ {ორგანიზაცია}. ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს {სახელწოდება, დონორი}.

დიდი მადლობა, რომ თანახმა ხართ, დაეხმაროთ ჩვენს პროექტს. ჩვენ თქვენს ქალაქში/მუნიციპალიტეტში ვუკავშირდებით იმ ადამიანებს, ვისაც შეუძლია ინფორმაცია მოგვაწოდოს, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივი თემის წევრებს **ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის მიმართ.** ასეთი ინტერვიუები საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ, რამდენად არის მზად თქვენი თემი ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის გადასაჭრელად და რა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართულებით.

ადგილობრივი თემის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ---------- ის {ქალაქი} მუნიციპალიტეტს, ხოლო **თემის წევრებში** - მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს. **ნარკოტიკს** კი განვმარტავთ, როგორც ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნებისმიერ ნივთიერებას და მცენარეული მასალას, რომელიც იწვევს მიჩვევას და დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და რომლის შექმნა, წარმოება, შენახვა, შეძენა, გასაღება, მოხმარება კანონით აკრძალულია.

თქვენი ვინაობა არ დაფიქსირდება ანგარიშში. თუ ნებას მომცემთ, ჩვენი საუბრის დროს, ჩართული იქნება დიქტოფონი. საუბრის ჩაწერა საშუალებას მოგვცემს, განმეორებით მოვისმინოთ თქვენი მოსაზრებები, რათა არ გამოგვრჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. ჩანაწერი წაიშლება მაშინვე, როგორც კი ქაღალდზე გადავიტანთ თქვენთან ინტერვიუს *{ჩაწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ეცადეთ, დეტალურად ჩაინიშნოთ რესპონდენტის პასუხები}.*

{კითხვარში მსხვილი შრიფტით (ბოლდით) წარმოდგენილი შეკითხვების დასმა აუცილებელია, რადგან ძირითადად ამ კითხვებზე პასუხების მიხედვით ხდება შეფასება. ჩვეულებრივი შრიფტით წარმოდგენილი კითხვების დასმა სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი. იმოქმედეთ სიტუაციის მიხედვით}.

დავიწყოთ ინტერვიუ

1. **პირველ კითხვაზე პასუხის დროს, ძალიან გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ გვაინტერესებს, რას ფიქრობენ ამ საკითხზე თქვენი თემის წევრები და არა თავად თქვენ.**

კითხვა ასეთია: წარმოვიდგინოთ ათქულიანი სკალა, სადაც ერთიანი არის „საერთოდ არ აწუხებთ“, ხოლო ათიანი - „ძალიან აწუხებთ“; რამდენ ქულას მიანიჭებდით თქვენი თემის წევრებს ამ სკალაზე, როდესაც საუბარია ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარებაზე? რამდენად აწუხებთ მათ ეს პრობლემა? *{შენიშვნა: ეს კითხვა ეხება განზომილებას „ატმოსფერო თემში“}.*

შეგიძლიათ, მითხრათ, რატომ ფიქრობთ ასე?

1. თემის ინფორმირებულობა საკითხთან დაკავშირებული მიმდინარე ძალისხმევის შესახებ

მე ვაპირებ გკითხოთ, რა კეთდება თქვენს თემში ამჟამად ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის გადასაჭრელად. ვგულისხმობ ნებისმიერ პროგრამას, აქტივობას ან სერვისს თქვენს თემში, რომელიც ეხება ამ პრობლემას.

2. **კეთდება თუ არა რაიმე თქვენს თემში ამ პრობლემის მოსაგვარებლად?**
*თუ **კი,** განაგრძეთ შეკითხვა 3-ით, თუ **არა,** გადადით შეკითხვა 16-ზე*

3. **შეგიძლიათ, ჩამოთვალოთ და მოკლედ აღწეროთ თითოეული?**
ჩაინიშნეთ

4. რამდენი ხანია გრძელდება თითოეული ეს მცდელობა?
ცალ-ცალკე კითხეთ თითოეული პროგრამის/აქტივობის შესახებ.

5. ვისზეა მიმართული თითოეული პროგრამა/აქტივობა?
სამიზნე ჯგუფის მახასიათებლები - მაგ., ასაკობრივი ფარგლები, ეთნიკური მიკუთვნებულობა და სხვ.

6. **თქვენი თემის დაახლოებით რამდენ წევრს აქვს ინფორმაცია ამ პროგრამის/აქტივობის შესახებ?** *(თუ ზემოთ რამდენიმე პროგრამა დასახელდა, აარჩიეთ ერთი, რომელზეც რესპონდენტი უფრო მეტად არის ინფორმირებული)* **მე ჩამოგითვლით პროგრამის სხვადასხვა ასპექტს და თქვენ მიპასუხეთ შეფასების შემდეგი სკალის მიხედვით: <u>არცერთმა,</u> <u>სულ რამდენიმემ,</u> <u>ზოგიერთმა,</u> <u>ბევრმა</u> ან <u>უმეტესობამ.</u>**

გაუგია, რომ არსებობს ასეთი პროგრამა
არცერთს სულ რამდენიმეს ზოგიერთს ბევრს უმეტესობას

იცის ამ პროგრამის სახელწოდება
არცერთმა სულ რამდენიმემ ზოგიერთმა ბევრმა უმეტესობამ

იცის პროგრამის მიზანი
არცერთმა სულ რამდენიმემ ზოგიერთმა ბევრმა უმეტესობამ

იცის, ვისთვის არის განკუთვნილი ეს პროგრამა
არცერთმა სულ რამდენიმემ ზოგიერთმა ბევრმა უმეტესობამ

იცის, რას აკეთებს ეს პროგრამა

არცერთმა სულ რამდენიმემ ზოგიერთმა ბევრმა უმეტესობამ

7. **თქვენი პასუხებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ მითხრათ, რატომ აქვთ თქვენი თემის წევრებს ინფორმირებულობის ასეთი დონე არსებულ პროგრამებთან დაკავშირებით?**

8. **არსებობს თუ არა ადგილობრივ საზოგადოებაში მცდარი წარმოდგენები ან არასწორი ინფორმაცია არსებული საქმიანობის შესახებ?**

თუ კი, რომელი?

9. როგორ იღებს ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმაციას არსებული საქმიანობის შესახებ?

10. თვლიან თუ არა საზოგადოების წევრები მიმდინარე საქმიანობას წარმატებულად?

მიმანიშნებელი კითხვები: რა მოსწონთ თემის წევრებს ამ პროგრამებში? რა არ მოსწონთ?

11. რა უშლის ხელს ცალკეულ პიროვნებებს, რომ ჩაერთონ ამ საქმეში?

12. რა არის ამ საქმიანობის ძლიერი მხარეები?

13. რა არის ამ საქმიანობის სუსტი მხარეები?

14. გამოიყენება თუ არა შეფასების შედეგები არსებულ პროექტში ცვლილებების შესატანად ან ახლის დასაგეგმად?

15. იგეგმება თუ არა თქვენს თემში დამატებითი საქმიანობა ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის დასაძლევად?

მე-16 შეკითხვა დაუსვით მხოლოდ იმ რესპონდენტს, რომელმაც მე-2 კითხვას გასცა პასუხი „არა“

16. **ხომ არ ცდილობს თქვენს თემში ვინმე, დაიწყოს მუშაობა ამ პრობლემის მოგვარებაზე? შეგიძლიათ მითხრათ რაიმე ამის შესახებ?**

2. თემის ხელმძღვანელობა

ახლა მე ვაპირებ გკითხოთ, როგორ აღიქვამს ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარების პრობლემას თქვენი ქალაქის/მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობაში ვგულისხმობთ მათ, ვინც იღებს თქვენს ქალაქში/მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილებებს და ვისაც ხელეწიფება თქვენს თემში არსებული პრობლემების მოგვარება, ანუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

17. ათქულიან სკალაზე, სადაც ერთიანი არის „საერთოდ არ აწუხებთ“, ხოლო ათიანი - „ძალიან აწუხებთ“; რამდენ ქულას მიანიჭებდით თქვენი თემის ხელმძღვანელობას, როდესაც საუბარია ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარებაზე? რამდენად აწუხებთ მათ ეს პრობლემა?

შეგიძლიათ, მითხრათ, რატომ ფიქრობთ ასე?

17a. რამდენად პრიორიტეტულია თქვენი თემის ხელმძღვანელობისთვის ეს პრობლემა?

შეგიძლიათ, განმარტოთ, რატომ ფიქრობთ ასე?

18. ახლა მე წაგიკითხავთ იმ გზების ჩამონათვალს, რომლითაც ხელმძღვანელობამ შეიძლება გამოხატოს ამ პრობლემის მოგვარებაზე მიმართული ადგილობრივი ძალისხმევის მხარდაჭერა ან მხარდაჭერის ნაკლებობა. თითოეულ დებულებაზე, გთხოვთ, მიპასუხოთ, შემდეგი სკალის მიხედვით: არცერთი სულ რამდენიმე ზოგიერთ ბევრი უმეტესობა

მაშ, ასე, ადგილობრივი ხელისუფლების რამდენი წარმომადგენელი:

სულ მცირე, პასიურად უჭერს მხარს ამ საქმიანობას, მაგრამ თავად არ აქტიურობს
არცერთი სულ რამდენიმე ზოგიერთ ბევრი უმეტესობა

მონაწილეობს საქმიანობის დაგეგმვაში, გაუმჯობესებაში ან განხორციელებაში, მაგალითად, არის ჯგუფის წევრი, რომელიც მუშაობს ამ ძალისხმევის მიმართულებით
არცერთი სულ რამდენიმე ზოგიერთ ბევრი უმეტესობა

მხარს უჭერს რესურსების გამოყოფას თემში ამ პრობლემის მოგვარებაზე მიმართული საქმიანობის დასაფინანსებლად
არცერთი სულ რამდენიმე ზოგიერთ ბევრი უმეტესობა

საქმიანობის დაგეგმვაში, განვითარებაში ან განხორციელებაში მთავარ როლს ასრულებს, როგორც ლიდერი ან მამოძრავებელი ძალა *{დამაზუსტებელი კითხვა: როგორ აკეთებს ამას?}*
არცერთი სულ რამდენიმე ზოგიერთ ბევრი უმეტესობა

წამყვან როლს ასრულებს თემში ამ პრობლების მოგვარებაზე მიმართული საქმის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მაგალითად, გრძელვადიანი დაფინანსების გამოყოფით
არცერთი სულ რამდენიმე ზოგიერთ ბევრი უმეტესობა

19. მხარს უჭერს თუ არა ხელმძღვანელობა საქმიანობის გაფართოებას თემში ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის გადასაჭრელად?

თუ კი: **როგორ აჩვენებენ ისინი ამ მხარდაჭერას? მაგალითად, პასიური მხარდაჭერით, საქმიანობის განვითარებაში ჩართულობით, ან წარმოადგენს ამ გაფართოების ძირითად მამოძრავებელ ძალას.**

20. ადგილობრივი ხელისუფლების რომელი წარმომადგენლები უჭერენ მხარს ამ პრობლემის მოგვარებაზე მიმართულ საქმიანობას?

21. არიან თუ არა თქვენი თემის ხელმძღვანელობაში ადამიანები, ვინც ეწინააღმდეგება ამ საქმეს? როგორ გამოხატავენ ისინი თავიანთ პოზიციას?

3. ატმოსფერო თემში

კითხვების შემდეგ ბლოკზე პასუხისას, ისევ გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ გვაინტერესებს, რას ფიქრობენ ამ საკითხზე თქვენი თემის წევრები და არა თავად თქვენ.

22. რამდენად პრიორიტეტულია ახალგაზრდებში ნარკოტიკების პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა თქვენი თემის წევრებისთვის?

შეგიძლიათ, განმარტოთ თქვენი პასუხი?

23. ახლა მე წაგიკითხავთ იმ გზების ჩამონათვალს, რომლითაც თქვენი თემის წევრებმა შეიძლება გამოხატონ ამ პრობლემის მოგვარებაზე მიმართული ადგილობრივი ძალისხმევის მხარდაჭერა ან მხარდაჭერის ნაკლებობა. თითოეულ დებულებაზე, გთხოვთ, მიპასუხოთ, შემდეგი სკალის მიხედვით: <u>არცერთი</u> <u>სულ რამდენიმე</u> <u>ზოგიერთი</u> <u>ბევრი</u> <u>უმეტესობა</u>

მაშ, ასე, ადგილობრივი თემის რამდენი წარმომადგენელი:

სულ მცირე, პასიურად უჭერს მხარს ამ საქმეს, მაგრამ თავად არ აქტიურობს
არცერთი სულ რამდენიმე ზოგიერთი ბევრი უმეტესობა

მონაწილეობს საქმიანობის დაგეგმვაში, გაუმჯობესებაში ან განხორციელებაში, მაგალითად, ესწრება იმ ჯგუფის შეხვედრებს, რომელიც მუშაობს ამ ძალისხმევის მიმართულებით
არცერთი სულ რამდენიმე ზოგიერთი ბევრი უმეტესობა

საქმიანობის დაგეგმვაში, განვითარებაში ან განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც ლიდერი ან მამოძრავებელი ძალა
{დამაზუსტებელი კითხვა: როგორ აკეთებს ამას?}
არცერთი სულ რამდენიმე ზოგიერთი ბევრი უმეტესობა

24. თქვენი თემის დაახლოებით რამდენი წევრი დაუჭერდა მხარს ნარკომანიის პრობლემაზე მიმართული საქმიანობის გაფართოებას თვენს ქალაქში/მინიციპალიტეტში?

არცერთი სულ რამდენიმე ზოგიერთ ბევრი უმეტესობა

თუკი პასუხი არ არის არცერთი: **როგორ გამოხატავდნენ ისინი ამ მხარდაჭერას? პასიურად დაუჭერდნენ მხარს თუ აქტიურად ჩაერთვებოდნენ ამ საქმიანობაში?**

25. არიან თუ არა ადგილობრივ მოსახლეობაში ადამიანები, ვინც ეწინააღმდეგება ან, შესაძლოა, მომავალში დაუპირისპირდეს ასეთ ძალისხმევას? როგორ გამოხატავენ ისინი თავიანთ პოზიციას?

26. არის თუ არა რაიმე გარემოება, როდესაც თქვენი თემის წევრებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ამ პრობლემას უნდა შევეგუოთ? გთხოვთ ამიხსნათ.

27. გთხოვთ, რამდენიმე წინადადებით აღწეროთ თქვენი თემი

4. თემის ინფორმირებულობა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით

28. ათქულიან სკალაზე, სადაც ერთიანი არის „საერთოდ არაფერი იციან“, ხოლო ათიანი - „დეტალურად იციან“; რამდენ ქულას მიანიჭებდით თქვენი თემის წევრებს, როდესაც საუბარია ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარებაზე? რამდენად გათვითცნობიერებული არიან ისინი ამ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებში?

შეგიძლიათ, მითხრათ, რატომ ფიქრობთ ასე?

29. ჩვენ გვაინტერესებს, თქვენი აზრით, ადგილობრივ მოსახლეობას რამდენად აქვს ინფორმაცია ნარკოტიკების მოხმარების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. მე რიგ-რიგობით ჩამოგითვლით ამ ასპექტებს და თქვენ თითოეული შეაფასეთ შემდეგი სკალის მიზედვით: <u>არაფერი იციან</u>, <u>ძალიან ცოტა იციან</u>, <u>რაღაც ინფორმაცია აქვთ</u>, <u>საკმაოდ ბევრი იციან</u>

მაშ, ასე, რა იციან ადგილობრივ საზოგადოებაში:

ზოგადად ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის შესახებ

არაფერი იციან ძალიან ცოტა იციან რაღაც ინფორმაცია აქვთ საკმაოდ ბევრი იციან

ნარკოტიკების მოხმარების ნიშნებისა და სიმპტომების შესახებ

არაფერი იციან ძალიან ცოტა იციან რაღაც ინფორმაცია აქვთ საკმაოდ ბევრი იციან

ნარკოტიკების მოხმარების დაწყების მიზეზების შესახებ

არაფერი იციან ძალიან ცოტა იციან რაღაც ინფორმაცია აქვთ საკმაოდ ბევრი იციან

ნარკოტიკების მოხმარების შედეგების შესახებ

არაფერი იციან ძალიან ცოტა იციან რაღაც ინფორმაცია აქვთ საკმაოდ ბევრი იციან

თქვენს თემში ამ პრობლემის გავრცელების მასშტაბების შესახებ

არაფერი იციან ძალიან ცოტა იციან რაღაც ინფორმაცია აქვთ საკმაოდ ბევრი იციან

ამ პრობლემის თავიდან აცილების გზების შესახებ

არაფერი იციან ძალიან ცოტა იციან რაღაც ინფორმაცია აქვთ საკმაოდ ბევრი იციან

30. **რა მცდარი წარმოდგენები არსებობს თემის წევრებს შორის ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მაგ., რატომ ხდება ეს, რამდენად ხდება ადგილობრივად ან რა შედეგები მოჰყვება ამას? მაგალითად, რამდენად შეესაბამება რეალობას ადგილობრივი მოსახლეობის წარმოდგენა ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემის აქტუალობის ან ამ პრობლემის მოსახლეობაზე ზეგავლენის შესახებ თქვენს ქალაქში/მუნიციპალიტეტში?**

31. რა ტიპის ინფორმაციაა ხელმისაწვდომი თქვენს თემში ამ პრობლემის ირგვლივ (სტატიები, სატელევიზიო გადაცემები, სოციალური მედია, ნაბეჭდი საინფორმაციო მასალები, პლაკატები და სხვ.)

თუ, რესპონდენტმა დაასახელა რაიმე ტიპის ინფორმაცია: რამდენად მისაღებია ადგილობრივებისთვის ეს ინფორმაცია და იყენებენ თუ არა მას?

5. არსებული რესურსები ძალისმევის განსახოციელებლად (დრო, ფული, ხალხი, სივრცე და ა.შ.)

თუკი უკვე კეთდება რაიმე თემში პრობლემის ადგილობრივ დონეზე გადასაწყვეტად, დაიწყეთ 32-ე კითხვით. თუ არაფერი არ კეთდება, გადადით 33-ე შეკითხვაზე.

32. **როგორ ფინანსდება მიმდინარე საქმიანობა? გაგრძელდება თუ არა ეს დაფინანსება მომავალში?**

33. **ახლა წაგიკითხავთ იმ რესურსების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის მოგვარებაზე მუშაობის დროს. თითოეული მაგანი შეაფასეთ შემდეგი სკალის მიხედვით: <u>არანაირი</u> <u>ძალიან მცირე</u> <u>გარკვეული რაოდენობით</u> <u>ბევრი</u>**

მაშ, ასე, არის თუ არა თქვენს თემში ხელმისაწვდომი:

მოხალისეები

არანაირი ძალიან მცირე გარკვეული რაოდენობით ბევრი

ფინანსური დონაცია ორგანიზაციების ან ბიზნესის მხრიდან

არანაირი ძალიან მცირე გარკვეული რაოდენობით ბევრი

საგრანტო დაფინანსება
არანაირი ძალიან მცირე გარკვეული რაოდენობით ბევრი

სფეროს ექსპერტები, სპეციალისტები
არანაირი ძალიან მცირე გარკვეული რაოდენობით ბევრი

სივრცეები პრობლემის მოგვარებაზე მიმართული საქმიანობის ჩასატარებლად
არანაირი ძალიან მცირე გარკვეული რაოდენობით ბევრი

34. **მხარს დაუჭერენ თუ არა საზოგადოების წევრები და ხელმძღვანელობა ამ რესურსების გამოყენებას ნარკომანიის პრობლემის მოსაგვარებლად? გთხოვთ, განმარტოთ**

35. **ხუთქულიან სკალაზე, სადაც 1 არის არაფერი არ კეთდება, ხოლო 5 - ბევრი რამ კეთდება, როგორ შეაფასებდით თემის წევრებისა და/ან ხელმძღვანელობის ძალისხმევას თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი საქმის გასაკეთებლად, რათა გაიზარდოს რესურსები, რომლებიც მიმართული იქნება ნარკოტიკების პრობლემის გადასაჭრელად თქვენს თემში?**

მოხალისეების მოძიება არსებული და სამომავლო პროგრამე-ბის/აქტივობებისთვის

ორგანიზაციებისა და ბიზნეს კომპანიებისაგან შემოწირულობების მობილიზება

საგრანტო განაცხადების შემუშავება დონორებთან წარსადგენად

ადგილობრივი სპეციალისტების მომზადება პრობლემის მოგვარებაზე მიმართულ საქმიანობაში ჩასართავად

ექსპერტების ჩართვა საქმიანობაში

36. **ცნობილია თუ არა თქვენთვის რაიმე პროექტის ან სამოქმედო გეგმის შესახებ, რომელიც წარდგენილია დაფინანსების მოსაპოვებლად თქვენს თემში ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის მოგვარების მიზნით?**

თუ კი: **გთხოვთ, განგვიმარტოთ**

6. დამატებითი შეკითხვები

37. **თქვენ წარმოადგენთ ---------- (დაასახელეთ შესაბამისი ორგანიზაცია /უწყება/ჯგუფი). რა წვლილის შეტანა შეუძლია თქვენს ორგანიზაციას/უწყებას/ჯგუფს თქვენს თემში ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის მოგვარების საქმეში? როგორ?**

38. **რა კეთდება თქვენს თემში ახალგაზრდების მიერ თამბაქოს მოხმარების პრობლემასთან დაკავშირებით? რამდენად აწუხებს ადგილობრივ საზოგადოებას**

ეს პრობლემა?

39. რა კეთდება თქვენს თემში ახალგაზრდების მიერ ალკოჰოლის მოხმარების პრობლემასთან დაკავშირებით? რამდენად აწუხებს ადგილობრივ საზოგადოებას ეს პრობლემა?

6.2 ფიქსირებული შეფასების სკალები თითოეული განზომილებისთვის

თემის ინფორმირებულობა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებული მიმდინარე საქმიანობის შესახებ

(მსხვილი შრიფტი (ბოლდი) მიუთითებს, თუ რითი განსხვავდება თითოეული ეტაპი წინა ეტაპისგან)

<u>დონე</u>	<u>აღწერა</u>
1	თემის წევრებმა **არ იციან** ამ პრობლემის გადაჭრაზე მიმართული ადგილობრივი პროექტების შესახებ.
2	თემის მხოლოდ **რამდენიმე** წევრს აქვს ინფორმაცია, რა კეთდება მათ თემში ამ პრობლემასთან დაკავშირებით. თემის წევრებს აქვთ **მცდარი წარმოდგენები ან არასწორი ინფორმაცია** საკითხთან დაკავშირებული მიმდინარე საქმიანობის შესახებ (მაგ, არ იციან, რისთვის კეთდება ეს).
3	სულ მცირე, თემის **რამდენიმე** წევრს **სმენია ადგილობრივი პროექტების შესახებ, მაგრამ მეტი არაფერი იცის.**
4	სულ მცირე, თემის რამდენიმე წევრს სმენია ადგილობრივი პროექტების შესახებ და **ისიც იციან, რა მიზნით ხორციელდება ეს საქმიანობა.**
5	სულ მცირე, თემის რამდენიმე წევრს სმენია ადგილობრივი პროექტების შესახებ, ისიც იციან, რა მიზნით, **ვისთვის და როგორ ხორციელდება ეს საქმიანობა.**
6	თემის **ბევრ** წევრს სმენია ადგილობრივი პროექტების შესახებ, ისიც იციან, რა მიზნით ხორციელდება ეს საქმიანობა. სულ მცირე, თემის რამდენიმე წევრმა ისიც იცის, ვისთვის და როგორ ხორციელდება ეს საქმიანობა.
7	თემის **ბევრ** წევრს სმენია ადგილობრივი პროექტების შესახებ, ისიც იციან, რა მიზნით, **ვისთვის და როგორ ხორციელდება ეს საქმიანობა. სულ მცირე, თემის რამდენიმე წევრმა იცის, რამდენად ეფექტურია ეს საქმიანობა.**
8	თემის **ბევრ** წევრს სმენია ადგილობრივი პროექტების შესახებ, ისიც იციან, რა მიზნით ხორციელდება ეს საქმიანობა. თემის **ბევრმა** წევრმა იცის, ვისთვისაა განკუთვნილი და როგორ ხორციელდება ეს საქმიანობა. **სულ მცირე, თემის რამდენიმე წევრმა იცის, რამდენად ეფექტურია ეს საქმიანობა.**
9	თემის წევრთა უმეტესობას აქვს **ფართო** ცოდნა ადგილობრივი პროექტების შესახებ, იცის **მიზანი, ვისთვის არის განკუთვნილი და როგორ მუშაობს ეს საქმიანობა.** თემის ბევრმა წევრმა იცის, რამდენად შედეგიანია საქმიანობა.

თემის ხელმძღვანელობა

(მსხვილი შრიფტი (ბოლდი) მიუთითებს, თუ რითი განსხვავდება თითოეული ეტაპი წინა ეტაპისგან)

<u>დონე</u>	<u>აღწერა</u>
1	ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს საკითხი **არ არის** პრობლემური.
2	ხელმძღვანელების აზრით, ეს საკითხი შეიძლება მართლაც პრობლემური იყოს, მაგრამ **არ ფიქრობენ, რომ საჭიროა მის მოგვარებაზე ზრუნვა.**
3	სულ მცირე, ხელმძღვანელობის რამდენიმე წარმომადგენელი **ფიქრობს, რომ ეს საკითხი შეიძლება პრობლემური იყოს მათი თემისთვის**, მაგრამ არ მიიჩნევენ პრიორიტეტულად. ისინი არ ამჟღავნებენ მოქმედების უშუალო მოტივაციას.
4	სულ მცირე, ხელმძღვანელობის რამდენიმე წარმომადგენელს სჯერა, რომ ეს საკითხი **პრობლემურია** მათ თემში და რომ **მის მოსაგვარებლად საჭიროა გარკვეული ძალისხმევა.** მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა შეიძლება პასიურად მაინც დაუჭიროს მხარი ამ ძალისხმევას, **მხოლოდ რამდენიმე შეიძლება მონაწილეობდეს საქმიანობის დაგეგმვაში, გაუმჯობესებაში ან განხორციელებაში.**
5	**სულ მცირე, ხელმძღვანელობის რამდენიმე წარმომადგენელი** მონაწილეობს **საქმიანობის დაგეგმვაში, გაუმჯობესებაში ან განხორციელებაში**, შესაძლოა, ამ პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრად ან მხარს უჭერდეს ამ პროექტისთვის რესურსების მობილიზებას.
6	სულ მცირე, ხელმძღვანელობის რამდენიმე წარმომადგენელი თამაშობს **წამყვან როლს** საქმიანობის დაგეგმვაში, გაუმჯობესებაში ან განხორციელებაში, შესაძლოა იმით, რომ **ხელმძღვანელობდნენ** ამ პროექტზე მომუშავე ჯგუფს, ან **საჯაროდ დაუჭირონ მხარი** პროექტს, ან სხვა ტიპის **მხარდაჭერა გამოხატონ.**
7	სულ მცირე, ხელმძღვანელობის რამდენიმე წარმომადგენელი მაინც თამაშობს წამყვან როლს **პროექტის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფაში ან გაუმჯობესებაში** (მაგ., თანხების გამოყოფის მხარდაჭერა).
8	სულ მცირე, ხელმძღვანელობის რამდენიმე წარმომადგენელი წამყვან როლს თამაშობს **საქმიანობის გაფართოებასა და გაუმჯობესებაში,** პროექტის **შეფასებისა და მოდიფიცირების, ახალი რესურსების ძიების** ან/და ახალი პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში დახმარების გზით.
9	სულ მცირე, ხელმძღვანელობის რამდენიმე წარმომადგენელი მაინც მუდმივად **განიხილავს და აფასებს საქმიანობის შედეგებს** და შესაბამისად **ცვლის ფინანსურ მხარდაჭერას.**

ატმოსფერო თემში

(მსხვილი შრიფტი (ბოლდი) მიუთითებს, თუ რითი განსხვავდება თითოეული ეტაპი წინა ეტაპისგან)

<u>დონე</u>	<u>აღწერა</u>
1	თემის წევრებს მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი **არ არის** პრობლემური.
2	თემის წევრების აზრით, ეს საკითხი შეიძლება მართლაც პრობლემური იყოს, მაგრამ **არ ფიქრობენ, რომ საჭიროა მის მოგვარებაზე ზრუნვა.**
3	თემის ზოგიერთი წევრი ფიქრობს, რომ **ეს საკითხი შეიძლება პრობლემური იყოს** მათი თემისთვის, მაგრამ **არ მიიჩნევენ პრიორიტეტულად.**
4	თემის ზოგიერთ წევრს სჯერა, რომ ეს საკითხი **პრობლემურია** მათ თემში და რომ **მის მოსაგვარებლად საჭიროა გარკვეული ძალისხმევა.** მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა შეიძლება პასიურად მაინც დაუჭიროს მხარი ამ ძალისხმევას, **მხოლოდ რამდენიმე შეიძლება მონაწილეობდეს საქმიანობის დაგეგმვაში, გაუმჯობესებაში ან განხორციელებაში.**
5	სულ მცირე, თემის **ზოგიერთი** წევრი მონაწილეობს **საქმიანობის დაგეგმვაში, გაუმჯობესებაში ან განხორციელებაში**, შესაძლოა, ამ პროექტზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრებზე დასწრებით.
6	სულ მცირე, თემის **ზოგიერთი** წევრი თამაშობს **წამყვან როლს** საქმიანობის დაგეგმვაში, გაუმჯობესებაში ან განხორციელებაში, შესაძლოა იმით, რომ იყვნენ ამ პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრები, ან საჯაროდ დაუჭირონ მხარი პროექტს, ან სხვა ტიპის **მხარდაჭერა გამოხატონ.**
7	სულ მცირე, თემის ზოგიერთი წევრი მაინც თამაშობს წამყვან როლს **პროექტის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაში ან გაუმჯობესებაში** (მაგ., დამატებითი თანხების გამოყოფის მხარდაჭერა). სათემო საზოგადოებაში ასეთი დამოკიდებულებაა: „ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა“.
8	თემის წევრების **უმრავლესობა მტკიცედ** უჭერს მხარს პროექტს ან პროექტის საჭიროებას. **მონაწილეობის დონე მაღალია**. ”ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი საქმიანობა და დავრწმუნდეთ, რომ რასაც ვაკეთებთ ეფექტურია.”
9	თემის წევრების უმრავლესობა **აქტიურად უჭერს მხარს** ამ საკითხის გადაწყვეტზე მიმართულ ძალისხმევას. **თემის წევრები ანგარიშვალდებულებას ითხოვენ.**

თემის ინფორმირებულობა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით

(მსხვილი შრიფტი (ბოლდი) მიუთითებს, თუ რითი განსხვავდება თითოეული ეტაპი წინა ეტაპისგან)

დონე	**აღწერა**
1	თემის წევრებს **არ აქვთ** ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ
2	თემის **მხოლოდ რამდენიმე** წევრს **აქვს** ინფორმაცია პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. თემის წევრების **დიდი ნაწილს** აქვს **მცდარი წარმოდგენები ან არასწორი ინფორმაცია** საკითხთან დაკავშირებით (მაგ., არ იციან, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა მათ თემში და სხვ.).
3	სულ მცირე, თემის **რამდენიმე** წევრს **სმენია პრობლემის შესახებ, მაგრამ მეტი არაფერი იცის.** თემის წევრების **ზოგიერთ წევრს** აქვს მცდარი წარმოდგენები ან არასწორი ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით. თემის წევრებმა შეიძლება **გარკვეულწილად იცოდნენ, რომ ეს პრობლემა ადგილობრივად არსებობს.**
4	სულ მცირე, თემის ზოგიერთ წევრს სმენია რაღაც პრობლემის **მიზეზების, შედეგების ნიშნებისა და სიმპტომების** შესახებ. სულ მცირე, თემის ზოგიერთმა წევრმა იცის, რომ ეს პრობლემა ადგილობრივად არსებობს.
5	სულ მცირე, თემის ზოგიერთმა წევრმა **იცის ცოტა რამ** პრობლემის მიზეზების, შედეგების ნიშნებისა და სიმპტომების შესახებ. სულ მცირე, თემის ზოგიერთმა წევრმა იცის, რომ ეს პრობლემა ადგილობრივად არსებობს.
6	სულ მცირე, თემის ზოგიერთმა წევრმა იცის ცოტა რამ პრობლემის მიზეზების, შედეგების ნიშნებისა და სიმპტომების შესახებ. სულ მცირე, თემის ზოგიერთმა წევრმა იცის, **როგორ აღმოცენდა ეს პრობლემა ადგილობრივად და რა ზეგავლენას ახდენს მოსახლეობაზე.**
7	სულ მცირე, თემის ზოგიერთი წევრი **კარგად არის ინფორმირებული** პრობლემის მიზეზების, შედეგების ნიშნებისა და სიმპტომების შესახებ. სულ მცირე, თემის ზოგიერთმა წევრმა იცის, როგორ აღმოცენდა ეს პრობლემა ადგილობრივად და რა ზეგავლენას ახდენს მოსახლეობაზე.
8	თემის წევრების **უმრავლესობა** კარგად არის ინფორმირებული პრობლემის მიზეზების, შედეგების ნიშნებისა და სიმპტომების შესახებ. სულ მცირე, თემის ზოგიერთმა წევრმა **კარგად** იცის, როგორ აღმოცენდა ეს პრობლემა ადგილობრივად, რა ზეგავლენას ახდენს მოსახლეობაზე და რა უნდა გაკეთდეს მის მოსაგვარებლად.
9	თემის წევრების უმრავლესობას საფუძვლიანი ცოდნა გააჩნია პრობლემასთან დაკავშირებით, დეტალურად იცის პრობლემის მიზეზების, შედეგების ნიშნებისა და სიმპტომების და იმის შესახებ, თუ როგორ აღმოცენდა ეს პრობლემა ადგილობრივად, რა ზეგავლენას ახდენს მოსახლეობაზე და რა უნდა გაკეთდეს მის მოსაგვარებლად.

რესურსები

(მსხვილი შრიფტი (ბოლდი) მიუთითებს, თუ რითი განსხვავდება თითოეული ეტაპი წინა ეტაპისგან)

<u>დონე</u>	<u>აღწერა</u>
1	**არ არსებობს რესურსი,** რომელიც საჭიროა საკითხის მოსაგვარებლად.
2	ძალიან **შეზღუდული** რესურსები (მაგ, მხოლოდ ერთი ოთახი) არსებობს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდგომი საქმიანობისთვის. არაფერი კეთდება ამ რესურსების გამოყოფისთვის. არსებული საქმიანობის დაფინანსება არ არის სტაბილური.
3	არსებობს **გარკვეული** რესურსები (მაგ., მოხალისეები, სივრცე, სადაც შეიძლება აქტივობა განხორციელდეს, ადგილობრივი პროფესიონალები, გრანტი ან სხვა ფინანსური რესურსი), რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება სამომავლო საქმიანობის დროს. **ცოტა** რამ კეთდება რესურსების გამოყოფისთვის.
4	არსებობს გარკვეული რესურსები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება სამომავლო საქმიანობის დროს. **თემის ზოგიერთ წევრი და ხელმძღვანელი განიხილავს ამ რესურსების გამოყენებას** სამომავლო საქმიანობის განსახორციელებლად.
5	არსებობს გარკვეული რესურსები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება სამომავლო საქმიანობის დროს. თემის ზოგიერთ წევრი და ხელმძღვანელი **აქტიურად მუშაობს ამ რესურსების უზრუნველსაყოფად;** მაგალითად, **აგროვებენ შემოწირულობებს, წერენ საგრანტო წინადადებებს ან ეძებენ მოხალისეებს.**
6	**ახალი რესურსები** იქნა **მოძიებული და/ან გამოყოფილი** პრობლემის მოგვარებაზე მიმართულ საქმიანობის მხარდასაჭერად.
7	საქმიანობისთვის გამოყოფილი რესურსების **მნიშვნელოვანი ნაწილი** არის წყაროებიდან, რომლებიც, სავარაუდოდ, **უზრუნველყოფენ სტაბილურ ან მუდმივ მხარდაჭერას.**
8	საქმიანობისთვის გამოყოფილი რესურსების **მნიშვნელოვანი ნაწილი** არის წყაროებიდან, რომლებიც, სავარაუდოდ, უზრუნველყოფენ განგრძობით მხარდაჭერას. **თემის წევრები ეძებენ დამატებით მხარდაჭერას ახალი საქმიანობის განსახორციელებლად.**
9	**უზრუნველყოფილია დივერსიფიცირებული რესურსები და სახსრები** და მოსალოდნელია, რომ საქმიანობა გაგრძელდება. **არსებობს დამატებითი მხარდაჭერა ახალი საქმიანობისთვის.**

6.3 თემის მზაობის შეფასების ფურცელი

თემი:	
თარიღი:	
შემფასებელი:	

<u>ინდივიდუალური ქულები</u>

ინტერვიუები

განზომილებები	#1	#2	#3	#4	#5	#6	**საშუალო**
ცოდნა საქმიანობის შესახებ							
ხელმძღვანელობა							
ატმოსფერო თემში							
საკითხის ცოდნა							
რესურსები							
				თემის მზაობის ერთიანი ქულა			

<u>კონსენსუსის ქულები</u>

ინტერვიუები

განზომილებები	#1	#2	#3	#4	#5	#6		**საშუალო**
ცოდნა საქმიანობის შესახებ								
ხელმძღვანელობა								
ატმოსფერო თემში								
საკითხის ცოდნა								
რესურსები								
				ერთიანი ქულა კონსენსუსით				

კომენტარები ----------

6.4 გამოყენებული ლიტერატურა

Community Readiness for Community Change. Tri-Ethnic Center Community Readiness Handbook. 2nd edition, 2014

Community Coalitions Handbook. Community Anti-Drug Coalitions of America (CADCA). National Coalition Institute. 2018

Assessing community needs and readiness. A toolkit for working with communities on ATOD prevention. Minnesota Department of Human Services. 2011

Community Readiness Assessment Training Manual. A Tool for Measuring Community Readiness in Addressing Problem Gambling. Sunshine Consulting

Barbara A. Plested, Pamela Jumper-Thurman, Ruth W. Edwards. Assessing Community Readiness for Change. Increasing Community Capacity for HIV/AIDS Prevention Creating a climate that makes healthy change possible. SAMSHA, 2014

Handbook for Community Anti-Drug Coalitions. Community Anti-Drug Coalitions of America (CADCA). National Coalition Institute. 2012

Barbara A. Plested, Ruth W. Edwards, Pamela Jumper-Thurman. Community Readiness: A handbook for successful change. Fort Collins, CO: Tri-Ethnic Center for Prevention Research. 2010

Edwards, R. W., Jumper-Thurman. P., Plested, B. A., Oetting, E. R., & Swanson, L. (2000). Community readiness: Research to practice. Journal of Community Psychology, 28(3), 291-307